ხელშეკრულება
საარქივო მომსახურების გაწევის შესახებ

ქ. თბილისი 22 ოქტომბერი, 2018 წ.

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის, **ირაკლი თავართქილაძის** სახით და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ეროვნული არქივი (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო თბილისის ცენტრალური არქივის დირექტორის, **მაკა კვარაცხელიას** სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, გამარტივებული შესყიდვების გზით (საფუძველი: საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახადების გადახდა) სააგენტოს 2018 წლის საკუთარი შემოსავლებით, შემსყიდველის 2011-2013 წლების საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების მომსახურების შესყიდვა (CVP: 79995100 - საარქივო მომსახურებები), რომელიც საჭიროების გათვალისწინებით, მოიცავს:

ა) დოკუმენტებისა და საქმეების მოწესრიგებას შედგენილი გეგმის მიხედვით, საქმეების სისტემატიზაციას წლების და სტრუქტურული ნაწილების მიხედვით;

ბ) დოკუმენტების სამეცნიერო და პრაქტიკულ ექსპერტიზას;

გ) საქმის ფორმირებას, საქმეში ფურცლების სისტემატიზაციას, საბუთების შედგენას, საქმეების შეკერვას და ფურცლების ნუმერაციას;

დ) ყდების გაფორმებას, დამოწმებული ფურცლების ჩაწებებას, შესანახ საქმეთა სისტემატიზაციას, საქმეებისა და დოკუმენტების გასანადგურებლად გამოყოფას და შესაბამისი აქტის შედგენას;

ე) მიმწოდებლის მიერ დაბეჭდილი ანაწერების შეჯერებას, შენაკრავების განლაგებას სათანადო წესის მიხედვით და სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებების გაწევას.

2. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება 12214.69 (თორმეტი ათას ორასთოთხმეტი ლარი და სამოცდაცხრა თეთრი) ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებს გათვალისწინებით (დანართი N1 - წინასწარი ხარჯთაღრიცხვა).

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების „2.1" პუნქტში მითითებული ღირებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ გაწეული მომსახურებების მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული თანხის გათვალისწინებით.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულების საერთო საბოლოო ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის/აქტების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს წინამდებარე ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულებისა.

2.4 მომსახურების ღირებულების გაანგარიშებისას გამოიყენება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N506 დადგენილება.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ანგარიშსწორება ხორციელდება 2019 წელს, უნაღდო ანგარიშსწორებით, ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3.2 უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.3 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი, **ქეთევან მშვიდობაძე.**

3.4 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს მიმწოდებლის მხრიდან წარმოადგენს თბილისის ცენტრალური არქივის დირექტორი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და იმ მოცულობით, რომელზეც შეთანხმდებიან მხარეები ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;
ბ) შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება 2019 წლის 4 იანვრიდან 2019 წლის 4 მარტის ჩათვლით. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, ზაქარიაძის ქუჩა N4, თბილისის ცენტრალური არქივი.
4.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრულ დოკუმენტებს შემსყიდველი მიმწოდებელს გადასცემს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში. შემსყიდველის მიერ დოკუმენტების მიმწოდებლისათვის გადაცემა ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს მიმწოდებლის მხრიდან წარმოადგენს თბილისის ცენტრალური არქივის დირექტორი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო შემსყიდველის მხრიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი ქეთევან მშვიდობაძე.
4.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
მოთხოვოს შემსყიდველს აანაზღაუროს გაწეული მომსახურების შესაბამისი ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლებში მითითებული დათქმის შესაბამისად;
4.4 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლებში დათქმული პირობების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების ტრანსპორტირება თბილისის ცენტრალური არქივში (ქ. თბილისი, ზაქარიაძის ქუჩა N4) წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.
4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:
მოთხოვოს მიმწოდებელს განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით წინამდებარე ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს მიმწოდებლის მხრიდან განახორციელებს თბილისის ცენტრალური არქივის დირექტორი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.
6.2 თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი მოსაზრებები წერილობითი ფორმით.
6.3 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ორმხრივი შეთანხმების გზით, რომელიც ფორმდება წერილობითი შეთანხმების სახით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

მხარეებს შეუძლიათ ვადამდე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ აღმოჩნდა, რომ შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების დროულად გადახდას;
ბ) შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;
გ) წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წერილობითი ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე 10 სამუშაო დღით ადრე;
დ) წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ე) წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს: ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს–მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველის/მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, შემსყიდველი/მიმწოდებელი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მიმწოდებელს/შემსყიდველს უხდის პირგასამტეხლოს წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი მიმწოდებელს უხდის პირგასამტეხლოს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების 1 %-ის ოდენობით.

9.3 საჯარიმო სანქციების გადახადა არ ათავისუფლებს შემსყიდველს/მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

10. დავის გადაწყვეტა

10.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

10.2 ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 4 აპრილის ჩათვლით.

12. დასკვნითი დებულებები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია, განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

12.2 წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1 (წინასწარი ხარჯთაღრიცხვა) წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, ორი კი მიმწოდებელს.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ - ქონების მართვის სააგენტო
ქ. თბილისი, ჭ. წარწყინარის ქუჩა N7
სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
ხაზინის კოდი: 741977499
ბიზნეს ინდენტიფიკაციო კოდი: 205296375

სააგენტოს უფროსი

_____

ირაკლი თავართქილაძე

მიმწოდებელი
სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი
ქ. თბილისი, სერგო ზაქარიაძის ქუჩა N4
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის N707447080
ს/კ 211358957

თბილისის ცენტრალური არქივის დირექტორი

_____

მაკა კვარაცხელია

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო თბილისის ცენტრალურ არქივს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული 2011-2013 წლების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების ხელშეკრულების დანართი წინასწარი ხარჯთაღრიცხვა

N	პოზიცია	მომსახურეობის სახეობა	საზომი ერთეული	საფასური ლარებში	შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა	შესრულებული სამუშაოს ღირებულება
1	2	3	4	5	6	7
1.	1.2	დოკუმენტების მოწესრიგების გეგმის შედგენა 1X17.70=17.70	1 გეგმა	17.70	1 გეგმა	17.70
2.	1.4.2	საქმეთა სისტემატიზაცია ფონდების შიგნით წლების ან სტრუქტურული ნაწილების მიხედვით 7640X0.50/10=382.00	10 შესანახი ერთეული	0.50	7640 შესანახი ერთეული	382.00
3.	1.6.1.1	მმართველობითი დოკუმენტების ექსპერტიზა, ფურცლობრივი გადათვალიერებით 7640X1.00=7640.00	1 შესანახი ერთეული	1.00	7640 შესანახი ერთეული	7640.00
4.	1.8.1	საქმეში ფურცლების სისტემატიზაცია 57600X1.00/100=576.00	100 ფურცელი	1.00	57600	576.00
5.	1.11	მმართველობითი და პირადი წარმოშობის საქმეების სათაურების შედგენა 630X1.10=693.00	1 სათაური	1.10	630	693.00
6.	1.13	მმართველობითი, ტექსტობრივი, სამეცნიერო-ტექნიკური, შემოქმედებითი და პირადი წარმოშობის დოკუმენტაციის საქმეების შიდა ანაწერების შედგენა 1290X0.25=322.50	1 სათაური	0.25	1290	322.50

7.	1.15	არასწორად ფორმირებული საქმეების დაშლა, სამაგრების ამოღება 7640X0.15=1146.00	1 საქმე	0.15	7640	1146.00
8.	1.16.1	მმართველობითი, შემოქმედებითი და სამეცნიერო საქმეების შეკერვა 630X0.35=220.50	1 შესანახი ერთეული	0.35	630	220.50
9.	1.17	საქმეში ფურცლების ნუმერაცია და ხელახალი გადანომრვა 64560X0.85/100=548.76	100 ფურცელი	0.85	64560	548.76
10.	1.18	საქმის ყდის ან სატიტულო ფურცლის გაფორმება 630X0.20=126.00	1 ყდა	0.20	630	126.00
11.	1.19	სატიტულო და დამამოწმებელი ფურცლების ჩაწებება 630X0.20/10=12.60	10 ფურცელი	0.20	630	12.60
12.	1.21	საქმის ყდაზე საარქივო შიფრის და შტამპის დასმა 630X0.30/10=18.90	10 შესანახი ერთეული	0.30	630	18.90
13.	1.22	საქმეთა მოთავსება ყუთებში ან შენაკრავების ფორმირება 630X0.35/10=22.05	10 შესანახი ერთეული	0.35	630	22.05
14.	1.23	იარლიყების შედგენა, კოლოფზე დაწებება 73X0.20=14.60	1 იარლიყი	0.20	73	14.60
15.	1.24	კოლოფების ან შენაკრავების განლაგება 73X0.60/10=4.38	10 შენაკრავი	0.60	73	4.38
16.	1.25	მოწესრიგების პროცესში საქმეთა გადაადგილება დაწესებულების საცავიდან სამუშაო ოთახში 7640X0.20/10=152.80	10 შესანახი ერთეული	0.20	7640	152.80
17.	1.26.1	საქმის ანაწერის დაბეჭდვა 630X0.15=94.50	1 სათაური	0.15	630	94.50

18.	1.26.3	ანაწერის (ხელნაწერი) შედგენა 630X1.00/10=63.00	10 სათაური	1.00	630	63.00
19.	1.27.2	საქალაქო, რაიონული და სასოფლო მნიშვნელობის დაწესებულების ანაწერის წინასიტყვაობის შედგენა 1X28.00=28.00	1 წინასიტყვ აობა	28.00	1	28.00
20.	1.29	ანაწერის გაფორმება 3X10.00=30.00	1 ანაწერი	10.00	3	30.00
21.	1.31	აქტის შედგენა იმ საქმეების და დოკუმენტების განადგურების შესახებ, რომლებიც არ ექვემდებარება შენახვას 10X0.30=3.00	აქტის 1 პოზიცია	0.30	7	3.00
22.	1.34	დოკუმენტების მოწესრიგების დამთავრების შესახებ აქტების შედგენა 2X11.00=22.00	1 აქტი	11.00	2	22.00
23.	1.35	საქმეთა განმტვერიანება 7640X1.00/100=76.40	100 შესანახი ერთეული	1.00	7640	76.40

სულ: 12 214.69 (თორმეტი ათას ორას თოთხმეტი ლარი და სამოცდაცხრა თეთრი) ლარი.

შემსყიდველი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

ირაკლი თავვართქილაძე

მიმწოდებელი

სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის
ტერიტორიული ორგანო თბილისის
ცენტრალური არქივი

მაკა კვარაცხელია